ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

სპორტისა და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის
თავმჯდომარის

გურამ ოქროპირიძის

ანგარიში

(01.11.2022-01.11.2023)

შინაარსი

შესავალი 2

საკრებულოს სხდომებში, კომისიებში, საბჭოსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა..... 2

საკრებულოს სხდომები 2

სატრანსპორტო საკითხთა კომისია 3

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია..... 7

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" 7

გენდერული თანასწორობის საბჭო 8

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა 10

კომისიის სხდომები 11

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური 14

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია 18

კომისიის ინიციატივები 19

ღონისძიებები და შეხვედრები 24

მივლინება (ვიზიტი) 26

განხილული კორესპონდენცია 26

დამატებითი ინფორმაცია 27

კომისიის სამდივნო 27

საზოგადოებასთან ურთიერთობა 27

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გურამ ოქროპირიძის მიერ 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეულ სამუშაოს ანგარიშს.

კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №164 განკარგულების შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრის VII მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის გადაწყვეტილებით სატრანსპორტო საკითხთა კომისიის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი (ამ უკანასკნელის წევრი 2023 წლის 19 მაისამდე).

ასევე, 2021 წლის 13 დეკემბრიდან 2023 წლის 19 მაისამდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი.

საბჭოს წევრი

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №03.03220281 ბრძანების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი.

ფრაქციის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრიდან ფრაქცია **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი.**

საკრებულოს სხდომებში, კომისიებში, საბჭოსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში (01.11.2022 – 01.11.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს **20** და საკრებულოს **16** სხდომა გაიმართა, შედეგად მიღებულია **778** გადაწყვეტილება, მათ შორის **115** დადგენილება და **663** განკარგულება.

გურამ ოქროპირიძე დაესწრო ბიუროს **7** (კომისიის თავმჯდომარე 2023 წლის 19 მაისიდან) და საკრებულოს **16** სხდომას.

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა 1 833 083,6 ათას ლარს შეადგენს (დამტკიცებული 1 632 132,6 ათასი ლარი).

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 16 სხდომა, განიხილა 45 საკითხი, აქედან განკარგულების 3 და დადგენილების 41 პროექტი, მოისმინა ანგარიში.

გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

2023 წლის ბიუჯეტიდან, ტრანსპორტის განვითარებისთვის გამოყოფილია 422,317.5 ათასი ლარი. მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები დაფინანსებულია 74 257,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 66 000,0 ათასი ლარით; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა 4 000,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია 278 060,5 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, აქტიურად ხორციელდებოდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გამზირების რეაბილიტაცია. საზოგადოებრივი ტრანსპორტით სწრაფად გადაადგილებისთვის მოეწყო არაერთი ახალი ავტობუსის ზოლი და ველობილიკები. მიმდინარეობს ავტო-პარკის განახლება, მეტროს რეაბილიტაცია, ტაქსების და ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის რეფორმა;

თბილისის ავტოპარკი:

- დღეის მდგომარეობით, დედაქალაქს **860** ერთეული თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი ემსახურება;
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 160 ერთეული 18-მეტრიანი MAN-ის მარკის ავტობუსების შესყიდვა განხორციელდა. პირველ ეტაპზე, 2024 წლის პირველ აპრილამდე ავტოპარკს დაემატება 50 ავტობუსი, ხოლო დარჩენილი რაოდენობა - 2024 წლის ბოლომდე, ახალი ავტობუსები გათვლილია 162 მგზავრზე.
- იწყება ახალი ავტობაზის მშენებლობა, რომელიც გაშენდება 9 ჰექტარზე და გათვლილი იქნება 200 ერთეულ 18 მეტრიან ავტობუსებზე. ამჟამად საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტის ბიუჯეტი 60 000,0 ათას ლარს შეადგენს.
- დაიწყო 18 მეტრიანი ავტობუსების მართვისთვის საჭირო კატეგორიის (E კატეგორია) მისაღებად, კომპანიაში, ამჟამად მომუშავე **მძღოლების გადამზადების პროგრამა.** შესაბამისად, აუცილებელი გახდა შეივსოს წარმოქმნილი ვაკანსიები 8, 10 და 12 მეტრიანი ავტობუსების მძღოლების ნაწილში (ვაკანსია - 400 მძღოლის პოზიციაზე), რისთვისაც თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ დაიწყო დაინტერესებული პირების შერჩევის პროცესი და გამოცხადდა ვაკანსია.

თბილისის მეტრო:

- მიმდინარეობს მეტროს მოდერნიზაცია, საანგარიშო პერიოდში, პირველი სადგური, რომელიც სრულად რეაბილიტირდა და ადაპტირდა არის მეტროსადგური „გოცირიძე“, სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში, განახლდა ინტერიერი და ექსტერიერი, სრულად გადაიხურა მგზავრთა ჩასასხდომი ბაქანი და ჩატარდა გამაგრების სამუშაოები. ასევე, სადგური ადაპტირდა შშმ პირებისთვის, დამონტაჟდა ორი ლიფტი და მოეწყო სპეციალური ტაქტილური ბილიკები.
- მიმდინარეობს მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქცია, რომელიც მიმდინარე წლის 9 თებერვალს დაიწყო, ამ ეტაპისთვის სრულდება მეტროსადგურში სადემონტაჟო სამუშაოები. რეაბილიტაციის ვადა შეადგენს 18 თვეს.
- მგზავრთა ეფექტური მომსახურების მიზნით თბილისის მეტროს 5 მეტროსადგურში **სწრაფი გამავლობის ტურნიკეტების** დამონტაჟება დაიგეგმა. ამ ეტაპზე, ახალი ტურნიკეტები დამონტაჟდა მეტროსადგურ „ისანში“, ასევე მ/ს „ახმეტელის თეატრში“ სადაც რაოდენობა გაიზარდა, 7 გასასვლელის ნაცვლად მოეწყო 10 გასასვლელი, რამაც გაზარდა გამტარუნარიანობა. ერთ საათში 6 300 მგზავრის მიღების ნაცვლად, 9 000-მდე მგზავრის გატარებაა შესაძლებელი. უახლოეს პერიოდში სწრაფი გამტარობის ტურნიკეტები განთავსდება მ/ს „დიდუბეში“, „სადგურის მოედანი 2“ „ვარკეთილში“ - აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მეტი მგზავრის შეუფერხებელ გადაადგილებას.

- საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2023 წლის 17 იანვარს გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც 2023-2029 წწ. დაგეგმილია 12 მეტროსადგურის სრული განახლება/რეაბილიტაცია. ამ პერიოდისთვის, დასრულდა თბილისის მეტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელმაც მოიცვა თბილისის ყველა მეტროსადგური.

თბილისის ტაქსი:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი, ამოქმედდა www.taxi.tbilisi.gov.ge-ს განახლებული ვებგვერდი, სადაც ტაქსის ნებართვების გაყიდვა და იჯარით გაცემა არის შესაძლებელი, A კატეგორიის უვადო ნებართვები 35,000 ათასზე მეტ ფიზიკურ პირზე გაიცა. ახალი ნებართვები 2024 წლის პირველ აპრილამდეა განსაზღვრული. ამ ერთი წლის განმავლობაში, ყველა იმ ადამიანს, ვინც A კატეგორიის ტაქსის ლიცენზიის მფლობელია, შესაძლებლობა ექნება, ნებართვა გააქტიუროს და ის კონკრეტულ ავტომობილს მიაბას.
- გაიცა სპეციალური სტიკერები A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება. აღნიშნული სტიკერებით მათ საავტობუსო ზოლში შეეძლებათ გადაადგილება.
- ტაქსით მგზავრობის საფასურის გადახდის ინოვაციური მეთოდი ამოქმედდა, რაც სპეციალური QR კოდის მეშვეობით არის შესაძლებელი. QR კოდით გადახდა ნებაყოფლობითია და მისი დაკავშირება ნებისმიერ ანგარიშზეა შესაძლებელი.

ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა:

- **დედაქალაქში 550-ზე მეტი სპეციალური ადგილი განისაზღვრა, რომელიც სამეწარმეო და მიწოდების სერვისისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკინგს დაეთმო,** ინიციატივა საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობით ხორციელდება.
- **საანგარიშო პერიოდში ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდა** ჩუღურეთის რაიონში - ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, ზაარბრიუკენის მოედანზე, ნინოშვილისა და უზნაძის ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე; მთაწმინდის რაიონში - ლაპიაშვილის ქუჩაზე, ჭოველიძისა და ჯანაშიას ქუჩებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე; ვაკის რაიონში - კუს ტბის ასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- **პარკირების სისტემა პრიორიტეტს ანიჭებს წინასწარ** რეგისტრირებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს, შშმ პირებს, ელექტრომობილების მფლობელებსა და A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს (ამ კატეგორიებისთვის პარკირება უფასოა). სხვა შემთხვევაში კი, სტანდარტული ტარიფი შეადგენს ერთ ლარს ერთი საათის განმავლობაში. გარდა ამისა, მოქალაქეს შეუძლია, დღე-ღამის განმავლობაში, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე, პირველი 15 წუთი ისარგებლოს უფასოდ.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 2024 წლის 1 იანვრიდან პიკის საათებში აიკრძალება M3, N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, 08:00-11:00 საათებში და 17:00-20:00 საათების შუალედში;

დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოები

- **მიმდინარეობს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია.** რეაბილიტაცია დაიწყო 2022 წლის სექტემბერში, პროექტის დასრულება დაგეგმილია 2024 წლის გაზაფხულისთვის.
- **საანგარიშო პერიოდში დასრულდა, ქეთევან დედოფლის** და **მელიქიშვილის** გამზირების რეაბილიტაცია, **მარშალ გელოვანის** გამზირის და **მუხრან მაჭავარიანის** ქუჩის დამაკავშირებელი გზა, **ჟვანიას** მოედნის რეკონსტრუქცია, **ლევან გოთუას** ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროს დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, **შოთა შალიკაშვილის სახელობის (ე.წ. დიდუბის) ხიდის რეაბილიტაცია, პროექტების ფარგლებში განხორციელდა** სხვადასხვა სამუშაოები, შეიცვალა მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები, საგზაო ინფრასტრუქტურის ფარგლებში დაიხაზა ,,ზებრა" გადასასვლელები, ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის და მისი სწრაფი გადაადგილებისთვის გამოიყო შესაბამისი ავტობუსის ზოლები, არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდა შშმ პირებისთვის, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და სხვა.
- **მიმდინარეობს აკაკი წერეთლის გამზირის რეკონსტრუქცია, პროექტის ფარგლებში** განხორციელდება წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაცია. ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყოფა შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი, ადაპტირდება შშმ პირებისთვის.
- **მიმდინარეობს უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია.** პროექტის პირველ ეტაპზე, მთლიანად შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. 1 600 მეტრის სიგრძის გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარი და გარე განათების ქსელი. დამონტაჟდება ახალი LED ლამპიონები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზები მიწისქვეშ განთავსდება. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის.
- **დედაქალაქის მთავრობამ გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით, ახალი პროექტი დაიწყო სახელწოდებით „მდგრადი ურბანული მობილობა თბილისში“,** რომლის მიზანი ურბანული სატრანსპორტო სისტემისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებაა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მდგრადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ქსელის შესაქმნელად, შემუშავდება ინტეგრირებული

მულტიდისციპლინური მიდგომა, კერძოდ, **„ჭკვიანი (ITS) სისტემების“ დანერგვით,** გათვალისწინებული იქნება მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების საკითხი.

- **დამონტაჟდა შუქნიშნის 18** ობიექტი;
- **დაიხაზა 19 კმ BUS LANE და 9.2 კმ** ველობილიკი;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

გურამ ოქროპირიძის წევრობის პერიოდში (01.11.2022-01.05.2023) კომისიამ ჩაატარა **13** სხდომა. განხილულია **143** საკითხი, განკარგულების **125** და დადგენილების **10** პროექტი, ასევე **8** სხვადასხვა საკითხი, მათ შორის:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- **საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროგრამის** ფარგლებში განხილულია ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების **142 განკარგულების** პროექტები. დაახლოებით **259-მდე** ოჯახს, რომლების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 14003,19 კვ.მ).

  გარდა უკვე დაკმაყოფილებული განცხადებებისა, თბილისის მერიაში ფართების დაკანონების მსურველთა ასობით განაცხადია დარეგისტრირებული, რომელთა განხილვა ეტაპობრივად მიმდინარეობს.
- **კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად** მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში დაკმაყოფილებულია **297 ოჯახი.**
- **ასევე საანგარიშო პერიოდში** ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, **იჯარით გადაცემის 44 პროექტია განხილული.**

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ჩატარებული აქვს 18 სხდომა, განხილულია 26 საკითხი, მათ შორის:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის შესახებ;

- ისტორიული ძეგლების სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ;
- სტრასბურგში გამართულ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პლენარულ სესიაზე განხილული საკითხების შესახებ;
- დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ"-ის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის შესახებ;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების შესახებ;

გენდერული თანასწორობის საბჭო

2022 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 სხდომა, 4 სამუშაო შეხვედრა და არაერთი ღონისძიება/აქტივობა გაიმართა. საბჭომ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე დღის წესრიგით **გათვალისწინებული 6 საკითხი განიხილა**.

გურამ ოქროპირიძე დაესწრო 2 სხდომას და 2 სამუშაო შეხვედრას, განიხილა 4 საკითხი.

- **2023 წელს დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებსა და პრინციპებს. საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე უზრუნველყოფს:** გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავებას, საფინანსო-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის საკითხებში; გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას; ქალთა მიმართ ძალადობის, ან ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას; ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმართვას; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ინიციატივების შემუშავებასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი საქმიანობის განხორციელებას; სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციას; გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიება/აქტივობა განხორციელდა, მათ შორის:

- „არა ქალზე ძალადობას“, „დუმილი გამოსავალი არ არის“, - ამ მოწოდებებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით შეუერთდა საბჭო ,,**გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიას**“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ,,**პროგრამული ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკითხებზე გამართულ ორდღიან ტრენინგზე**“, სადაც განიხილეს თემები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტირების პროცესის დახვეწასა და გაძლიერებას უჭერს მხარს;
- საბჭოს წევრებმა ,,**ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლეს**“ და ვარშავის დელეგაციის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია გენდერული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. მხარეებმა ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.
- მიმდინარე წელს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“-ის წარმომადგენლობა საქართველოში “მერსი ქორფს საქართველოს“ შორის **გაფორმდა მემორანდუმი**, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობას.
- **,,ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის“** ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს, გენდერული თანასწორობის საბჭოსა სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობით, არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წლის განმავლობაში ინიცირებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო კამპანია **"შენი სიცოცხლე შენს ხელშია“,** რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა გახლდათ.
- ოქტომბრის თვეში საბჭო ჩაერთო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო კამპანიაში **„ვარდისფერი ოქტომბერი“.** კამპანიის დასაწყისში, ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, **თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო, ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა** საბჭოს წევრების, „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლების მიერ. ღონისძიებაზე დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ. ოქტომბრის დასაწყისში, თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ვარდისფრად განათდა. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე **,,ვარდისფერი მარათონი“** გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად, სკრინინგის შესახებ საინფორმაციო ბროშურები დარიგდა.
- საბჭოს ინიციატივით, დედაქალაქის საკრებულოში, **კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები** გაიმართა. რომელთა შორის აღსანიშნავია: ,,**მეცნიერ ქალთა და გოგონათა**

საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“, ანა კალანდაძის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო **„ანა პოეზიის დედოფალი“**, მუსიკოს დინი ვირსალაძის დისკის **„Dreams come true” პრეზენტაცია და მისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.**

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომისიის 49 სხდომა, გურამ ოქროპირიძე დაესწრო 46 სხდომას.

- **კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს, ''ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების** შესახებ საქართველოს კანონის და **ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის** დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N376 დადგენილების საფუძველზე.
- **კომისიის განხილვის საგანია** კანონის ამოქმედებამდე (2007 წლამდე) ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები, რომელზეც განთავსებულია კაპიტალური შენობა-ნაგებობა ან წარმოადგენს საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- დედაქალაქის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

კომისიის საქმიანობას ასევე განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მოქალაქეების მიღება და მათთვის კონსულტაციის გაწევა;
- დედაქალაქში არსებული და მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, რაიონულ გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა პირებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები, მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციების წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდული იურიდიული პირების მონახულება და მათი საქმიანობის გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა: გურამი ოქროპირიძე (კომისიის თავმჯდომარე 2023 წლის 19 მაისიდან) **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

კომისიის სხდომები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 15 სხდომა და განიხილა **27** საკითხი, მათ შორის: **9** განკარგულების და **14** დადგენილების პროექტი, ასევე მოისმინა ანგარიშები და ჩაატარა გასვლითი სხდომები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია **23** სამართლებრივი დასკვნა და **15** კომისიის სხდომის ოქმი.

თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის, კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

- **საკრებულოს დადგენილება N19-118** (28.12.2022) **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**, 2023 წლის ბიუჯეტით **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** და **ახალგაზრდული ღონისძიებების** პროგრამებისთვის გამოიყო 33,794.8 ათას ლარი, სექტემბრის ცვლილებით პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა და საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 58 411,5 ათას ლარს.
- **საკრებულოს N16-95 და N23-15 დადგენილებები** (09.08.2022, N13-76 დადგენილებაში ცვლილება), ცვლილებებით პროგრამაში **„სპორტი უფროსი თაობისთვის“** მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობის შეზღუდვის მაჩვენებელი გაუქმდა და ასევე ბენეფიციართა მონაწილეობის შესაძლებლობა გაუმჯობესდა.
- **საკრებულოს N18-115 დადგენილებით** (12.02.2019, N37-12 დადგენილებაში ცვლილება) მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესს **დაემატა სპორტსმენების დაჯილდოება, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ჭადრაკი-ს ოლიმპიადაში.**
- **საკრებულოს N27-44 დადგენილებით** (09.02.2021, N74-4 დადგენილებაში ცვლილება) წარმატებული სტუდენტების წახალისების, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტების დაფინანსების წესში, ცვლილებით დაკონკრეტდა ბენეფიციართა დაფინანსების პროცედურა;
- **საკრებულოს N582 განკარგულებით** (04.11.2022), დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა არსებული 10 327 კვ.მ. მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაეცა ა(ა)იპ **"საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია"-ს,** ფეხბურთის მოედნის მოწყობისა და მოვლა-პატრონობის მიზნით 2 წლით;
- **საკრებულოს N111 განკარგულებით** (17.03.2023) **ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარე N01.14.14.005.301) უძრავი ქონება ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციას“-ს** პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა 2 წლის ვადით;
- **საკრებულოს N165 განკარგულების შესაბამისად** (19.05.2023) ჩინეთის საელჩო, ატენის ქ. 16-ში მდებარე სპორტულ მოედნის რეაბილიტაციას განახორციელებს და წყნეთში, აფხაზეთის ქ. 23-ში ფიტნეს ტრენაჟორს (ორ კომპლექტს) მოაწყობს;
- **საკრებულოს N176 განკარგულებით** (19.05.2023) ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული 12 306 კვ.მ უძრავი ქონება, რაგბის მოედანი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად გადაეცა რაგბის კავშირს, სპორტული ბაზის მოვლა-პატრონობის და ობიექტისთვის სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობით.
- **საკრებულოს N177 განკარგულებით** (19.05.2023) ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ში არსებული 19,226 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად გადაეცა რაგბის კავშირს, სპორტული დანიშნულებით და ტერიტორიაზე სპორტული

პროფილის მუდმივად შენარჩუნების პირობით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2007 წელს გასხვისდა, იყო კერძო საკუთრება, მესაკუთრეს ჰქონდა ვალდებულება, 10 წლის განმავლობაში სტატუსი შეენარჩუნებინა, ამის შემდეგ კი შეეძლო, განეხორციელებინა სხვადასხვა ტიპის პროექტი. მოლაპარაკების შედეგად დედაქალაქის მერიამ აღნიშნული სივრცე დაიბრუნა. მუნიციპალიტეტს არაერთი ასეთი პროექტი განუხორციელებია, სადაც კონკრეტული სპორტული ინფრასტრუქტურა იყო გასხვისებული.

- **საკრებულოს N443 განკარგულებით** (22.09.2023) ა(ა)იპ-რაგბის კავშირს ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში (ვარკეთილის მეურნეობაში) **მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად** გადაეცა. რაგბის კავშირმა აიღო ვალდებულება უძრავი ქონების ტერიტორიაზე, რომელიც ჯამში შეადგენს 40 186 კვ.მ მიწის ნაკვეთს, 2025 წლის 31 დეკემბრამდე მოაწყოს 2 000 მაყურებელზე გათვლილი სარაგბო ინფრასტრუქტურა.
- **საკრებულოს N201** (19.05.2023), **N378,** (25.08.2023) და **საკრებულოს N454** (22.09.2023) **განკარგულებებით** ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შესაბამისი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების, გლდანში, ვარკეთილში და ნუცუბიძეზე მოწყობილი სპორტული მოედნების, ექსპლუატაციაში მიღების ვადების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლდა.

ასევე, საკრებულოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები:

- **საკრებულოს N20-121 დადგენილებით** (29.12.2022) ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი 06.02.06.01) და „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი 06.02.06.03) განხორციელების წესი დამტკიცდა;
- **საკრებულოს N659 განკარგულებით** (16.02.2021 N59 განკარგულებაში ცვლილება) დაკორექტირდა ვაკის რაიონში სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის გ ანაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი;
- **საკრებულოს N185 განკარგულებით** (19.05.2023) მუნიციპალიტეტსა და შპს “სასკო“-ს შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ შევიდა ცვლილება და შესრულდება ნაკისრი ვალდებულება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით;
- **საკრებულოს N186 განკარგულებით** (19.05.2023) მუნიციპალიტეტსა და შპს „კაიძენ სპორტს" შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დადებული პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულებით არსებული ვალდებულების, სპორტული ობიექტისთვის პროფილის შენარჩუნება, შესრულება დაევალა;
- **საკრებულოს N184 განკარგულებით** (19.05.2023) მუნიციპალიტეტსა და შპს „სპორტულ კლუბ დუჩს“-ს შორის 2008 წლის 21 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შატილის ქუჩაზე მდებარე 45 870 კვ.მ. და 8 804 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთებზე მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის აშენებასა და აღჭურვაზე ახალი ვალდებულების აღება;

- **საკრებულოს N311 განკარგულებით** (30.06.2023) საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების პროექტი დამტკიცდა;
- **საკრებულოს N303 განკარგულებით** (30.06.2023) მუნიციპალიტეტსა და შპს „კორტებს" შორის გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" შევიდა ცვლილება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობისა და შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გაზრდის მიზნით (არაუგვიანეს 2025 წლის 01 ივლისისა);
- **საკრებულოს N239 განკარგულებით** (19.05.2023) ისნის რაიონში მდებარე ძევერას ქუჩას მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძის სახელი მიენიჭა;
- **საკრებულოს N411 განკარგულებით** (25.08.2023) ისნის რაიონში მდებარე ქუჩას სპორტსმენ დავით ციმაკურიძის სახელი მიენიჭა;
- **საკრებულოს N422 განკარგულებით** (25.08.2023) ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქუჩას ხელბურთელ ჯემალ ცერცვაძის სახელი მიენიჭა;
- **და სხვა.**

კომისიის სხდომების ფარგლებში:

- **მოისმინეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა** და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ.
- **ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამის, ფარგლებში,** საქართველოს კარიტასის ხელოვნების სტუდიის სოციალური საწარმო „ქ-ართ-ულის" ანგარიში. **გასვლითი სხდომა**
- **გასვლითი სხდომა** ლადო ასათიანის ქუჩა #50-ში მდებარე სპორტული ცენტრში. ცენტრში განთავსდება კალათბურთის და ფიტნეს დარბაზები, ჭიდაობის, კრივის და კარატეს სექციები, პროექტის მშენებლობა მნიშვნელოვანია მთაწმინდის რაიონის მოსახლეობისთვის.

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ქალაქ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტით კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამებისთვის განსაზღვრულია 334 168,9 ათასი ლარი; განათლება **253 250,8** ათასი ლარი, კულტურა **22 505,8** ათასი ლარი, სპორტის განვითარების ხელშეწყობა **51 483,0** ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებები **6 928,5** ათასი ლარი.

- **კულტურის** სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის **180-ზე** მეტი პროექტი. საანგარიშო პერიოდისათვის დაფინანსებულია თანამედროვე და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, კინო და სხვა მიმართულების **35-**მდე ფესტივალი და კონკურსი. მათ შორის: თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი,

თბილისის ბალეტის საერთაშორისო ფესტივალი, „თბილისი ოფენ ეარ“, ფოტოფესტივალი „ქოლგა“ , „თბილისი პიანო ფესტი“ , ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალი, თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. ასევე, დაფინანსდა საიუბილეო და შემოქმედებითი 35 პროექტი, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული **10**-მდე პროექტი და სხვა;

- თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობის მიმართულებით **29** ახალი პროექტი დაფინანსდა;
- წელს პირველად გამოცხადდა დამოუკიდებელი მიღება ქუჩის ხელოვნების, ე.წ. „სტრიტ არტის“ პროექტებისათვის. დაფინანსდა **4 განაცხადი,** მათ შორის „თბილისი მურალ ფესტი“ და ქუჩის ხელოვნების ფესტივალი „ნიკო“;
- 2021 წელს თბილისი გახდა UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის“ (UCCN) წევრი მედია-არტის, მედია ხელოვნების მიმართულებით. ამ მოვლენამ ასახვა ჰპოვა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკურსში - **„შემოქმედებითი თბილისი“** და გაჩნდა ახალი, **პრიორიტეტული მიმართულება - მედია ხელოვნება.** კონკურსის ეს ნაწილი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს მედია ხელოვნების სფეროში მომუშავე არტისტებს. პირველ ეტაპზე ჯამურად დაფინანსდა **44 პროექტი,** მათ შორის 15 საგამომცემლო, 2 - ვიზუალური ხელოვნების, 9 - დიზაინის და რეწვის, ხოლო 17 - მედია არტის მიმართულებით;
- „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდისათვის დაკონტრაქტებულია 11 პროექტი. დაფინანსდა ჟურნალი „სინათლე“ ტოტალურად უსინათლო და მცირედმხედველებისათვის;
- მიმდინარე წელს მუზეუმების გაერთიანებამ მიიღო BP- ის გრანტი, 200,0 ათასი დოლარის ოდენობით, რითაც აღიჭურვა ამიერკავკასიაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, მომზადდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის აუდიო გიდი ქართულ და ინგლისურ ენაზე და აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით. ამავე გრანტის ფარგლებში, მუზეუმში განთავსდება მზის ბატარეები, რაც საკუთარი ელექტრო ენერგიის გამომუშავების შესაძლებლობას მისცემს მუზეუმს და შენობა გახდება ენერგო ეფექტური; მუზეუმების გაერთიანებაში მუშაობს 30-ამდე საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ყველა ასაკის ადამიანს მასპინძლობს;
- თოჯინების მუზეუმის საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერი და შერჩევა-შეფასების ეტაპი მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულა 350, 0 ათასამდე ლარს შეადგენს;
- მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძისა და მ. კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმების სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაიწყო ხელოვნების **მე-19 სკოლის** კაპიტალური რემონტი;
- 16 სკოლას დაუფინანსდა 10, 3494 ლარის ღირებულების სხვადასხვა საჭიროებები;
- დასრულდა გლდანის მე-18 და დიღმის მე-9 ფილიალი ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტი;
- გაიხსნა 130-ე ბაგა-ბაღის ახალი შენობა. სრულად ამოქმედდება 125 და 108-ე ბაგა-ბაღი;
- **მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები,** რომლის საერთო ღირებულება 3 880 0,0 ათასი ლარია;

- **„ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში დაფინანსდა - თბილისში რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი 3 800 მოქალაქე, 2023 წელს პროგრამას ახალი** მიმართულებები დაემატა მათ შორის: დეკორატიული ლესვა, შრომის უსაფრთხოება, IT ინჟინერია, ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები, 2023-2025 წელს იგეგმება ჯამში **10 000** ბენეფიციარის მიღება, პროგრამის დასაქმების მაჩვენებელი 70%-ია;
- **სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამებით 2023 წელს დაფინანსდა 1256** სოციალურად დაუცველი სტუდენტი, **740** სტუდენტი მრავალშვილიანი ოჯახიდან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი, ხოლო **412** წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო თბილისის მერიის სტიპენდია;
- **2023 წლის „საზაფხულო პროგრამის" ფარგლებში ახალგაზრდებმა ისარგებლეს შედეგი სერვისებით:** კარტინგი, მინი გოლფი, სასროლეთი, მუნიციპალური საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, ჯომარდობა, ლაშქრობები „თბილისის გარშემო", საზაფხულო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 5 000-მდე ახალგაზრდამ;
- 2023 წელს დაფინანსდა საერთაშორისო ღონისძიებები (ESU, Eurodesk), სტუდენტური და თეატრალური ფესტივალები;
- **პროექტის „Urban Sport Fest - ურბან სპორტფესტი"-ს ფარგლებში ჩატარდა ტურნირი 3X3 კალათბურთში.** ტურნირში მონაწილეობა მიიღო **24** სამოყვარულო გუნდმა;
- **საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიების** ფარგლებში დაფინანსდა **64 თბილისის და ეროვნული სპორტული ფედერაცია და** განხორციელდა **193- ზე მეტი პროექტი,** პროექტებში მონაწილეობა მიიღო **73 352** ბენეფიციარმა;
- მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა **32** სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა;
- 2023 წელს დაჯილდოვდა 2022 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის **2** ეროვნული ფედერაციის **10** თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 2 კაცი, 8 ქალი).
- ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სპორტული ცენტრები მათ შორის, ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი **„თბილისი"** და რაგბის კლუბი **„ხვამლი"**;
- **სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები:** სრულდება ორი მულტიფუნქციური ცენტრის ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან და დიდ დიღომში, სკოლა "ფესვები"-ს მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოები და მათი სპორტული ინვენტარითა და ავეჯით აღჭურვა; მიმდინარეობს ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზისა და სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები; დაფინანსდა გუმათჰესის ქ. N1-ის (ს/კ 01.19.23.013.071) მიმდებარედ და დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) მდებარე მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება; საანგარიშო პერიოდში დასრულდა ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" მუხიანის რაგბის კომპლექსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს, სტრუქტურული ერთეულის გლდანის აუზის რეაბილიტაცია.

- **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციის ფარგლებში** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება მე-2 მიკრო რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ისა და ლიბანის ქუჩა N11-ის მიმდებარედ სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მასშტაბით, ღია ტიპის სკეიტ-მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (დიდი დიღმის IV კვარტალი) და სამშენებლო სამუშაოები (ვაზისუბნის დასახლება); გაფორმდა ხელშეკრულება, ქ. თბილისში ფეხბურთის და პადელის მოედნების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.
- **პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა:** ცენტრში ვითარდება **15** პარასპორტული სახეობა. მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 33 პარასპორტსმენს (მათ შორი, **11 ქალი და 22 მამაკაცი)** საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში **200 -ზე მეტი** პარასპორტსმენი და **20** მწვრთნელი.
- **მატერიალური მხარდამჭერი პროექტების ფარგლებში** ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის, თვეში **350** მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის **49** სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს;
- ასევე, სპორტის **32** სახეობაში, 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში **230-ზე მეტი** წარმატებული სპორტსმენი ბავშვი წახალისდა;
- 2022 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყო და წარმატებით გრძელდება **პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისთვის“.** პროგრამა ითვალისწინებს 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის, ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ცენტრებში, ხოლო 2023 წლიდან კერძო სპორტულ ცენტრებში დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, საცურაო აუზებით და ფიტნეს დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობას. პროგრამით უკვე **1 000 - ზე** მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. წელს პროგრამაში ჩაერთო კერძო სპორტკომპლექსები **„არენაში“ და „ოლიმპიკში“.**

ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით ახალი პროგრამები დაინერგა:

- 2023 წლის სექტემბრიდან დაიწყო პროფესიული განათლების ხელშეწყობის **მიზნით, ახალ მოთხოვნად მიმართულებებზე** მოქალაქეთა გადამზადებისა და დასაქმების პროგრამა, 40-ზე მეტი სპეციალობის კურსზე სწავლა უფასოა;
- **დაიწყო** მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ სპორტულ ცენტრებში სპორტული მედიცინის დანერგვის **საპილოტე პროგრამა,** რაც გულისხმობს სპორტში ჩართული ბენეფიციარების კომპლექსურ სამედიცინო შემოწმება/სკრინინგს. საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციამ სპორტულ ცენტრების თბილისში რეგისტრირებული **18 წლამდე ასაკის 500 ბენეფიციარის** კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი უზრუნველყო. პროექტის ფარგლებში ჩართული იყო **20-ზე მეტი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი;**

- **კონკურსი გამოცხადდა** ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობის მიზნით.
- **თბილისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის აფინანსებს შემდეგ პროგრამებს:**
- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში **5 000-მდე მოსწავლე/ახალგაზრდაა ჩართული. აქედან 1 200-მდე ახალგაზრდა უსასყიდლოდ იღებს სერვისს.** სასახლის რეაბილიტირებულ ნაწილში გაუმჯობესდა სასწავლო და სამუშაო გარემო. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების **ცხრა ფილიალი** ფუნქციონირებს, რომელთა რეაბილიტაციაც იგეგმება, სერვისების მიწოდება ყველა უბანში თანაბრად ხდება.
- დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს **32 სახელოვნებო სკოლა. თვეში საშუალოდ 2 575 სოციალურად დაუცველი მოსწავლე სრულიად უფასოდ სწავლობს.** მიმდინარეობს სახელოვნებო სკოლებში პროგრამების, არამოთხოვნადი სპეციალობებისა (745 მოსწავლე) და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების დაფინანსება (660 მოსწავლე, ათვისებული).
- **გრძელდება** მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის ბენეფიციარები არიან თბილისში რეგისტრირებული 18 წლიდან 21 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკამდე ბოლო ერთი წელი თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები იყვნენ და 18 წლის შესრულების გამო დატოვეს ის და საცხოვრისს საჭიროებენ. მათზე გაიცემა სოციალური დახმარება, ვაუჩერის სახით, ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს, ვაუჩერი საშუალოდ თვეში 6 ბენეფიციარზე გაიცემა.

პროგრამებით ყოველწლიურად 6, 000 -ათასზე მეტი ბავშვი და მოზარდი სარგებლობს.

საანგარიშო პერიოდში რაიონული გამგეობების მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში განხორციელდა **47** სპორტული მოედნის შეკეთება/რეაბილიტაცია და **3** ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. ასევე, სხვადასხვა მისამართზე მოეწყო ფიტნეს ტრენაჟორების **5** კომპლექტი.

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში რაიონებში სულ მოეწყო **53** ღონისძიება, აქედან ახალგაზრდული - 4, სპორტული - 26, კულტურული - 23.

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ პროგრამების განმხილველი კომისიის წევრია მ/წ ივნისის თვიდან.

კომისია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების **,,სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08.06.01) და ,,ახალგაზრდული ღონისძიებების**

ხელშეწყობა" (კოდი 08.08.01) ფარგლებში შემოსულ პროექტებს განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მათი დაფინანსების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის **24** სხდომა. სულ სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით განხილულია **369** პროექტი, აქედან **287** სპორტული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული **83**. **ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 49, 486 ბენეფიციარმა, განხორციელებულ პროექტებზე კი 5 675 858 ათასი ლარი დაიხარჯა.**

კომისიის ინიციატივები

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით 2018 წელს დაფუძნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, რომლის მიზანია საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრების გზით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება.

ღონისძიებების ნაწილი ვერ განხორციელდა პანდემიის გამო, თუმცა ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია და განხორციელდება სამომავლო აქტივობები.

სასკოლო ლიგა 2023

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სააფთიაქო ქსელის პსპ-ს მხარდაჭერით და ა(ა)იპ სპორტის მართვის ასოციაციის ორგანიზებით, ,,სასკოლო ლიგა 2023" კიდევ უფრო გაზრდილი მასშტაბით, სპორტის ათ სახეობაში გაიმართა და თბილისის გარდა ქვემო ქართლის და აჭარის ჯამში **350 სკოლის 5000-ზე მეტი მოსწავლე** ჩაერთო. მინი ფეხბურთის და ხელბურთის სასკოლო ლიგის პროექტები მუდმივად ხორციელდება, ასევე მიმდინარე წელს სატესტო რეჟიმში ჩატარდა ტურნირები, შემდეგ 9 სახეობაში: პნევმატური იარაღით სროლა, ველოსპორტი, ტექბოლი, თაგ რაგბი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ფარიკაობა და ჭადრაკი.

პროექტის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სასკოლო ლიგის ბაზაზე შექმნილია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობს. მსგავსი ტიპის ღონისძიებები ლიგისა და ფლეიოფის გაერთიანებული სისტემითა და ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით (sfl.ge) 2019 წლიდან წარმატებით ხორციელდება.

კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში"

საკრებულოში უმასპინძლეს, სიმბოლური საჩუქრები გადასცეს და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს:

- **საქართველოს სამბოს ეროვნულ ნაკრებს:** ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში გამართულ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველომ 3 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა. ოქროს მედლის მფლობელი ქალთა გუნდის წევრი ელენე ქებაძე გახდა, ვაჟებში კი, დავით ლორიაშვილმა ვერცხლის, ხოლო პაატა ღვინიაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.
- **საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციას:** ბულგარეთის ქალაქ კრანევოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე შოტოკან კარატეში საქართველომ - 43 ოქროს, 36 ვერცხლისა და 41 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების ჩართულობით ღონისძიებები რეგულარულად ტარდება.

კამპანია ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში"

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, წარმომადგენლობით ორგანოში კამპანიის ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში'' ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლეს.

სტუმრებმა საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს, რის შემდეგაც შეხვედრა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში გაგრძელდა, კომისიის თავმჯდომარემ სტუდენტებს პრეზენტაციის სახით, საკრებულოს ფუნქციები, მუნიციპალური პროგრამები, ასევე დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და მისი პრიორიტეტები დეტალურად გააცნო.

ჩოგბურთის სასკოლო ლიგა 2023-ის ფინალისტების დაჯილდოება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძემ მზიურის კორტებზე „ჩოგბურთის სასკოლო ლიგა 2023'' ფინალისტები დააჯილდოვა.

ჩოგბურთის სასკოლო ლიგაში წელს 32 მოსწავლე იყო ჩართული, პროექტის მიზანი მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა.

სასკოლო ლიგა 2023-ის ფინალისტების დაჯილდოება

23 ივნისს, იმედის სპორტულ ცენტრში, თბილისის სასკოლო ლიგა 2022-2023 სეზონის ფინალური და მესამე ადგილისთვის შეხვედრები გაიმართა. ფინალისტები მედლებით და თასით ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გურამ ოქროპირიძემ კოლეგებთან ერთად დააჯილდოვა.

ახალგაზრდების მიღება თბილისის საკრებულოში

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით თბილისის საკრებულოში სკოლა მერმისის მე-8 კლასის მოსწავლეებს უმასპინძლეს.

მოსწავლეებმა საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს და დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში შეხვედრა დიალოგის ფორმატში გააგრძელეს.

შეხვედრაზე მოსწავლეებს საკრებულოს ფუნქციები, მუნიციპალური პროგრამები და დედაქალაქში დაგეგმილი ახალგაზრდული პროექტები თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გურამ ოქროპირიძემ გააცნო.

მოსწავლეების სტუმრობა თბილისში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გურამ ოქროპირიძის ინიციატივით 3-9 სექტემბერს თბილისში, უკრაინის ქალაქ ლვოვის მოსწავლეები სტუმრობდნენ. 12 მოსწავლე, კონკურსის „ლვოვის ახალგაზრდა ნიჭიერის“ გამარჯვებული და მიკოლა ლისენკოს ეროვნული მუსიკალური აკადემიის მოსწავლეები დედაქალაქში და კახეთის რეგიონში სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს და კონცერტებს დაესწრნენ. უკრაინელი მოსწავლეები ასევე თბილისის საკრებულოს სტუმრობდნენ.

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში **8 სპორტული** და **ახალგაზრდული** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომლებიც აერთიანებს **20 სტრუქტურულ** ერთეულს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მათი საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა.

გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტების მუშაობის პროცესს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ინვენტარით აღჭურვასა და სხვა აქტივობებს ეცნობოდა.

კომისია მუდმივად აახლებს დედაქალაქში არსებული სპორტული ობიექტების ბაზებს, ასევე აწარმოებს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოედნების აღრიცხვას.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტის Stopmotion Studio - თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გურამ ოქროპირიძე, კომისიის წევრთან ერთად „ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტის, Stopmotion Studio-ს ფარგლებში გაწეულ და მიმდინარე საქმიანობას გაეცნო.

სამგორის რაიონში, ვარკეთილის მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მონახულება/მონიტორინგი - კომისიის თავმჯდომარე კოლეგებთან ერთად ადგილზე გაეცნო სამშენებლო სამუშაოებს. ცენტრში განთავსდება ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული დარბაზები, ტანვარჯიშის დარბაზი, სპორტული ორთაბრძოლების დარბაზი, ძიუდოს, კარატეს, ჭიდაობის და კრივის სექციები, ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს დარბაზი, ორი საცურაო აუზები, საუნა, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სახელოვნებო სკოლა, ბოულინგი და სივრცე სამაგიდო თამაშებისთვის.

საანგარიშო პერიოდში არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის:

სამუშაო შეხვედრა თბილისის რაიონულ გამგეობებთან

საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამუშაო შეხვედრა რაიონულ გამგეობებთან, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები გამგეობების კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილებების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე, გამგეობების მიერ 2022 წელს სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების და სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით შესრულებულ პროექტებზე და 2023 წელს დაგეგმილი ღონისძიებების და სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრა საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციასთან

თბილისის საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე, კომისიის წევრებთან ერთად საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა კარატის მიმართულებით არსებული გამოწვევების, სამომავლო გეგმების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შესახებ იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრა სასკოლო ლიგის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ასევე საკრებულოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც „სასკოლო სპორტული ლიგის“ განვითარების გეგმა, სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაციის წარმომადგენლებმა წარადგინეს.

მონაწილეებმა სასკოლო ლიგის 2023-2028 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის დეტალები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან

ა(ა)იპ „ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოებისათვის“ ინიციატივით თბილისის საკრებულოში სამუშაო შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე დაესწრო. შეხვედრაზე საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის მუშაობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში/ფორუმებში/ასამბლეებში მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმსა თუ ასამბლეაში და ასევე, მასპინძლობდა მათ დელეგაციებს.

Eurodesk-ის გახსნის ოფიციალური ცერემონია

გურამ ოქროპირიძე ევროპის სტუდენტური გაერთიანების - ESU-ს - რიგით 84-ე საბჭოს შეხვედრას და გენერალური ასამბლეის გახსნას დაესწრო, რომელიც თბილისის საკრებულოში გაიმართა.

საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია 2019 წლიდან არის ევროპის სტუდენტური გაერთიანების (ESU) კანდიდატი წევრი. ESU დაფუძნდა 1982 წელს და აერთიანებს 41 სახელმწიფოს ეროვნული სტუდენტური გაერთიანების წევრ 20 მილიონზე მეტ სტუდენტს.

ევროპის სტუდენტური გაერთიანება წარმოადგენს ევროკავშირის ახალგაზრდულ ოფიციალურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს კვოტა, ხმის მიცემის უფლებით ევროპარლამენტში და მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ კომისიასთან, იუნესკოსთან, ევროპის საბჭოსთან, ბოლონიის პროცესის განმახორციელებელ ჯგუფთან და სხვა ორგანიზაციებთან.

თბილისში ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს კომიტეტის შეხვედრა

თბილისში ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს კომიტეტის (CEMR) შეხვედრა ჩატარდა. პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრაში ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა საბჭოს, ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს (CEMR) წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრაში, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა.

ღონისძიებაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს: ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) საქმიანობა ევროპარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის და 2023 წლის სამუშაო პროგრამის შესრულების ანგარიში, ასევე მოისმინეს ცირკულარული ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ ჩარჩო დოკუმენტის პრეზენტაცია.

ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს წევრები საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ

ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს კომიტეტის შეხვედრის ფარგლებში, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე და კოლეგები ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს წევრებთან ერთად წეროვანის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდნენ.

თბილისის საკრებულოს წევრები და საერთაშორისო დელეგაციის წარმომადგენლები საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში ჩავიდნენ, სადაც ადგილზე არსებულ ვითარებას გაეცნენ. სტუმრებმა ადგილობრივ სკოლაში ბავშვების ნახატების გამოფენა დაათვალიერეს და მუსიკალური წრის რეპეტიციას დაესწრნენ.

შეხვედრა ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებთან

გურამ ოქროპირიძემ კოლეგებთან ერთად შეხვედრა გამართა ,,ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებთან“ და ვარშავის დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურული პროექტები და გენდერული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობა. მხარეებმა ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ღონისძიებები და შეხვედრები

გურამ ოქროპირიძე მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მსგავსი ტიპის 90-მდე შეხვედრას დაესწრო, მათ შორის:

ქართულ-ებრაული სკოლის გახსნა

ქართულ-ებრაული სკოლის „ორ ავნერი“ და თბილისის 65-ე საჯარო სკოლის ინიციატივით ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივანი გაიხსნა, კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვანი ტრადიციების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, ასევე სკოლის მოსწავლეებთან ერთად ქართულ-ებრაული მეგობრობის ხეივნის გამწვანებაში მიიღო მონაწილეობა.

თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2023

26 ივნისს, რიყის პარკში ,,სტუდენტური ფესტივალი 2023”-ის დასკვნითი ღონისძიება და გამარჯვებული უნივერსიტეტების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საკრებულოს წევრებთან ერთად კომისიის თავმჯდომარემ გურამ ოქროპირიძემ მიიღო. თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში 30 000 მდე სტუდენტი ჩაერთო სპორტის 16 სახეობაში და 5 კულტურულ შემოქმედებით აქტივობაში.

სკეიტბორდისტების საჩვენებელი ღონისძიება სამგორის სკეიტ პარკში

სამგორის რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე მოწყობილ სკეიტ პარკში პროფესიონალმა და მოყვარულმა სკეიტბორდისტებმა პირველი საჩვენებელი ღონისძიება გამართეს, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე კომისიის წევრებთან ერთად დაესწრო. პროექტის ფარგლებში, 1 200 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყო სკეიტ პარკის მოედანი, მის გარშემო კი გამწვანდა 2 ჰექტარი ტერიტორია. სკეიტ პარკის მოწყობის სამუშაოები 2022 წელს დაიწყო და 2023 წლის მაისში დასრულდა.

მემორანდუმი სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების ხელშეწყობის მიზნით

თბილისის საკრებულოსა და საქართველოს ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება-მოწყობის გზით საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე დაესწრო.

თბილისობა 2023

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გურამ ოქროპირიძემ 2023 წლის თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით დედაქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ღონისძიებაში, 2023 წლის ,,საპატიო თბილისელი''-ს წოდება 26 თბილისელს მიენიჭა.

ახალი ოლიმპიური მუზეუმის და ბიბლიოთეკის გახსნის ღონისძიება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე საკრებულოს წევრებთან ერთად, საქართველოს ახალი ოლიმპიური მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობაში არსებულ მუზეუმს შეემატა თანამედროვე დიზაინით მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ახალი სივრცე 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ასევე განახლებული და მნიშვნელოვანი გამოცემებით შევსებული ოლიმპიური ბიბლიოთეკა.

პროექტის პრეზენტაცია ,,ეთამაშე ჭადრაკის დედოფალს“

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე ლეგენდარული მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ტურნეს „ეთამაშე ჭადრაკის დედოფალს“ პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. 82 წლის მოჭადრაკე მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა ქვეყანაში სპეციალურ საჭადრაკო სეანსებს ჩაატარებს. პირველი სეანსი იტალიის ქალაქ პალერმოშია შედგა.

თბილისის საკრებულოს მიერ საქართველოს ბანკთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მარიჯანის ქუჩაზე უნივერსალური სტადიონი გაიხსნა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე საკრებულოსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და კამპანია „შენი მოედნის“ ფარგლებში, მარიჯანის ქუჩაზე, უნივერსალური სპორტული მოედნის გახსნას დაესწრო. მოედნის საფარი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) სტანდარტების შესაბამისად მოეწყო (განახლდა).

მივლინება (ვიზიტი)

2023 წლის 22-25 მარტს გურამ ოქროპირიძე მივლინებით იმყოფებოდა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, სადაც მონაწილეობა მიიღო **,,ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს არჩეულ ახალგაზრდა თანამდებობის პირთა კომიტეტისა“ და ,,პლათფორმა“-ს** პოლიტსაბჭოს შეხვედრაში. ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების მისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართულების ხელმძღვანელ მაიკლ რაპის, ასევე მონაწილეობა მიიღო ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს არჩეულ ახალგაზრდა თანამდებობის პირთა კომიტეტის და ,,პლათფორმას“ პოლიტსაბჭოს შეხვედრაში.

მივლინების პერიოდში სამუშაო ფორმატში განხილული თემები იყო: ადგილობრივი თვითმმართველობის გამოწვევები, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული პრობლემები.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა და მოამზადა **861 მასალა/კორესპონდენცია** და პროექტი. მათ შორის არის კომისიაში შემოსული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი **614 მასალა** და იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისგან **12 წერილი/განცხადება.**

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას, ის ჯამში შეადგენს **109-ს**. მათ შორის, კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს **6-ს**, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა - **103-ს.**

დამატებითი ინფორმაცია

კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის "Facebook" გვერდზე და მის მართვას უზრუნველყოფს სამდივნო. ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას. მათ შორის, აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაზე განთავსებას.

საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა საკითხი გაშუქდა:

- **2022 წლის 9 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოს წევრები ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდნენ;
- **2022 წლის 8 დეკემბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლეს;
- **2022 წლის 28 დეკემბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე: ადამიანის უფლებებზე მენტორული ტონით საუბრობს პარტია, რომელიც თავად იყო შემოქმედი ტოტალური ტერორის;
- **2022 წლის 17 მარტი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძის კომენტარი ,,ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ დასავლურ ღირებულებებზე მორალური ტრიბუნიდან არ უნდა ისაუბროს, რადგან ადამიანის თითქმის ყველა ფუნდამენტური უფლება ფეხქვეშ გათელეს თავის დროზე";
- **2023 წლის 24 მარტი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე ბრიუსელში PLATFORMA-ს პოლიტიკური საბჭოს შეხვედრას დაესწრო;
- **2023 წლის 19 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2023 წლის 19 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს;
- **2023 წლის 31 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ახალგაზრდების მიღება თბილისის საკრებულოში;

- **2023 წლის 7 ივნისი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისში ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს კომიტეტის შეხვედრა;
- **2023 წლის 8 ივნისი:** - პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისის საკრებულოს და ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს წევრები საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ;
- **2023 წლის 22 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;
- **2023 წლის 26 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - „სტუდენტური ფესტივალი 2023“-ის გამარჯვებულების დაჯილდოება;
- **2023 წლის 31 ივნისი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოს ინიციატივით „ჩოგბურთის სასკოლო ლიგა 2023-ის“ ფინალი და დაჯილდოება გაიმართა;
- **2023 წლის 19 ივლისი:** პრეს-სამსახური - თბილისის საკრებულოში საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს და სპორტსმენებს უმასპინძლეს;
- **2023 წლის 19 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სამუშაო შეხვედრა სასკოლო სპორტული ლიგის განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით;
- **2023 წლის 21 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2023 წლის 21 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძის კომენტარი ,,სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით ჯამში ბიუჯეტი 3,700 ათასი ლარით იზრდება“;
- **2023 წლის 11 აგვისტო**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე "Stopmotion Studio" ს პროექტის მიმდინარეობას გაეცნო;
- **2023 წლის 4 სექტემბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისის საკრებულოს უკრაინელი მოსწავლეები ესტუმრნენ;
- **2023 წლის 19 სექტემბერი**: პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე სამგორის რაიონში მდებარე მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო;
- **2023 წლის 22 სექტემბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა;
- **2023 წლის 29 სექტემბერი**: სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ორგანიზაცია Axel-ის კონფერენციას დაესწრო;
- **2023 წლის 6 ოქტომბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ახალი ოლიმპიური მუზეუმის და ბიბლიოთეკის გახსნის ღონისძიება;
- **2023 წლის 12 ოქტომბერი**: პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - პროექტის პრეზენტაცია ,,ეთამაშე ჭადრაკის დედოფალს“;
- **2023 წლის 12 ოქტომბერი**: პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისის საკრებულოს მიერ საქართველოს ბანკთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მარიჯანის ქუჩაზე უნივერსალური სტადიონის გახსნა;

- **2023 წლის 20 ოქტომბერი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.